



## მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000096769631720

№ ს-701

02 / აპრილი / 2020 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების შემძენის და სარგებლობის უფლებით მიმღების დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების შესახებ

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის #1 დეკრეტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 21 მარტის #5865-სს დადგენილების, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის #1 დეკრეტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 მარტის #106 განკარგულების საფუძველზე.

### მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. კორონავირუსის (COVID 19) პანდემიასთან დაკავშირებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების შემძენი და სარგებლობის უფლებით მიმღები ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი განთავისუფლდეს დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან 2020 წლის 21 მარტიდან - 3 (სამი) თვის ვადით.
2. ბრძანება ძალშია გაცნობისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამგდამსულია  
ილექტრონულად

გიორგი კაპანაძე